აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
საქვეუწყებო დაწესებულება
საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 1204
15/12/2025

1204-07-2-202512151613

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ ედნარ ნატარიძეს

ბატონო ედნარ,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2025 წლის 09 დეკემბრის N01-01-10/7554 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ ქ. ბათუმში, კოწია ერისთავის ქუჩა, N27-ში მდებარე 19 321 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.35.28.574), კანონით დადგენილი ნორმით არ ესაზღვრება „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 9 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებულ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოკლებულია შესაძლებლობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს განცხადებაში დასმული საკითხი.

პატივისცემით,

ზაზა შავაძე

დეპარტამენტის უფროსი

https://edocument.ge/AdjaraGov/public1204-07-2-202512151613

6010 ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №72-ა
ტელ/ფაქსი: 0422 24-73-66;